პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 177
(5727)

1976 წ.
7 სექტემბერი,
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში

პარტიული მუშაკის ტრიბუნა

დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე

მიმდინარე ხუთწლედი — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედი დიდი შემართებით დაიწყეს რესპუბლიკის მშრომელებმა. მათს თავდადებულ ბრძოლას ხუთწლედის დავალებათა შესრულებისთვის ძლიერი ბიძგი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებამ იმის თაობაზე „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილ ამ დადგენილებას ჩვენს რესპუბლიკაში ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა მოჰყვა. რუსთაველ მეტალურგთა შესანიშნავი თაოსნობა — „არც ერთი ჩამორჩენილი, არც ერთი უდისციპლინო ჩვენს გვერდით“ უმალ აიტაცა მთელმა რესპუბლიკამ.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში უდიდესი როლი ენიჭება ფიზკულტურასა და სპორტს, როგორც ჰარმონიულად განვითარებული ახალი ადამიანის აღზრდის საუკეთესო საშუალებას.

პარტიის მახარაძის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას, მის მასობრივად დანერგვას. ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა სკოლის მერხიდან იწყება, სკოლიდან, სადაც საფუძველი ეყრება ნორჩების ფიზიკურ აღზრდას. ბოლო წლებში რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხებზე ხშირად არის მსჯელობა პარტიის რაიკომის ბიუროს, რაისაბჭოს აღმასკომის, რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სპორტკომიტეტის პრეზიდიუმების სხდომებზე. სპორტის განვითარებისთვის, მისი მასობრიობისთვის ზრუნვას შედეგებიც სასურველი მოაქვს. მივმართოთ ფაქტებს.

რაიონის სპორტსმენებმა საქართველოს ბოლო ზონალურ სპარტაკიადაში საერთო გუნდური I ადგილი დაიკავეს. წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენმა მძლეოსნებმა (მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ერქომაიშვილი, ვ. ბლიაძე), „კლასიკოსებმა“ და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები — მ. გოგუაძე, კ. თავართქილაძე), ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდებმა (ო. ზოიძე, კ. ინწკირველი), ძალოსნებმა (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვ. შავიშვილი).

ფეხბურთელთა გუნდი „მერცხალი“ (გუნდის უფროსი — მ. გორდელაძე, მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ი. ჩხაიძე) წლების მანძილზე იყო რესპუბლიკის ჩემპიონი, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თასის მფლობელი, საკავშირო ძირეულ ფიზკულტურული კოლექტივების თასის გათამაშების მონაწილე. შარშან გუნდი სსრ კავშირის პირველობის „ა“ კლასის მეორე ლიგაში თამაშობდა, წლეულს კი კვლავ დაუბრუნდა საქართველოს პირველობას. გუნდი საგრძნობლად გაახალგაზრდავებულია (მოთამაშეთა საშუალო ასაკი 21-22 წელია), დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით და იბრძვის „ა“ კლასის საგზურის ხელმეორედ მოსაპოვებლად. ამ ახალგაზრდული კოლექტივის დაკომპლექტებაში დიდი წვლილი შეაქვთ ბავშვთა სპორტულ სკოლასა და სტადიონ „მეგობრობასთან“ არსებულ მოსამზადებელ ჯგუფებს.

რაიონში სპორტის პოპულარიზაციის მიზნით სპორტკომიტეტსა და ბავშვთა სპორტულ სკოლას ტრადიციად აქვთ ქცეული ახალგაზრდა, პერსპექტიულ სპორტსმენთა შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობაში დევიზით: „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“, მაგალითად ეწყობა „მორბენალთა დღე“, „მხტომელთა დღე“, „მტყორცნელთა დღე“, სადაც ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ თანატოლებთან ჭიდილში გამოავლინონ თავიანთი ნიჭი და იბრძოლონ რაიონის ნაკრებ გუნდში მოსახვედრად.

მდიდარი ტრადიციები აქვს სპორტის ისეთ სახეობებს, როგორიცაა სასტენდო სროლა, მძლეოსნობა, ჭიდაობა, ძალოსნობა, ხელბურთი, ველოსპორტი, ჭადრაკი. ჩვენი სასტენდო სროლის ოსტატები წლების მანძილზე წარმატებით იცავდნენ რაიონისა და რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას. რაიონში სასტენდო სროლის დანერგვაში დიდი დამსახურება მიუძღვით სპორტის ოსტატებს ბ. მეგრელაძეს, ვ. კველიძეს, ზ. ხომერიკს, გ. ქუტიძეს, ო. ლომინაძეს, ნ. ურუშაძეს, რ. ჩიგოგიძეს და სხვებს. მათს მდიდარ ტრადიციებზე იზრდებიან პერსპექტიული ახალგაზრდები: ზ. მეგრელაძე, ა. კვერღელიძე, ი. გუბელიძე, გ. ლორთაძე, ვ. დანელიანი, ზ. მეგრელაძემ და ა. კვერღელიძემ ამას წინათ მონაწილეობა მიიღეს ამიერკავკასიისა და საკავშირო პირველობებში და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივები შეასრულეს. დიდი წარმატებები აქვთ მოპოვებული ჩვენს მძლეოსნებს, სპორტის ოსტატებს თ. მდინარაძეს, ლ. აროშიძეს, ვ. ქათამაძეს, ლ. გუკს, ოსტატო-

(დასასრული მე-4 გვ.).

58 მეტრს იქით...

ნიკოლაევი, 5 სექტემბერი (დეპეშით). აქ გამართულ მძლეოსანთა ტრადიციულ საკავშირო ტურნირში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე 17 გუნდი მონაწილეობდა. სტარტზე გამოვიდა 21-22 წლის 219 სპორტსმენი.

ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში წარმატებას მიაღწია თბილისელმა ნ. ლაბაძემ („ლოკომოტივი“), რომელსაც გ. ჩადუნელი ავარჯიშებს. ამ ნიჭიერმა ათლეტმა საქართველოს ქალთაგან პირველმა გადალახა 58-მეტრიანი ზღვარი. მისი შედეგი — 58,60 მ 76 სანტიმეტრით აღემატება დინამოელი ვეტერანის ლ. ტულუშის მიერ 1971 წელს დამყარებულ რესპუბლიკურ რეკორდს. ლაბაძემ შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა.

თასის მისამართია თბილისი!

პირველნი, ვინც თბილისის დინამოელებს მიულოცეს შესანიშნავი წარმატება, იყვნენ მათი უშუალო მეტოქეები — ერევნის „არარატის“ ფეხბურთელები, რომლებმაც მატჩის დამთავრებისთანავე სათანადო მიუზღეს თავიანთ მეტოქეს.

ერევნელი ფეხბურთელი გამარჯვებას ულოცავს დ. ყიფიანს (ზემო სურათზე).

მატჩი მოგებულია. თბილისის დინამოელები საპატიო ნადავლით ხელში წრეს უვლიან ლუჟნიკის დიდ სარბიელს (ქვემო სურათზე).

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

● ბერლინი, 6 სექტემბერი. გდრ-ის საუკეთესო ფეხბურთელად 1975-1976 წლების სეზონის მიხედვით აღიარებულია ამ ქვეყნის ნაკრების მეკარე ი. კროი. ასე „გადაწყვიტეს“ გდრ-ის სპორტულმა ჟურნალისტებმა. ეს ფეხბურთელი თამაშობს „ზაქსენრინგის“ გუნდში, პროფესიით ელექტრიკოსია, ხოლო ახლო მომავალში ფიზკულტურის მასწავლებელი გახდება. ი. კროიმ წარმატებით დაიცვა თავისი ქვეყნის სპორტული ღირსება მონრეალში, სადაც გდრ-ის ნაკრები ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა.

● ჰანოვერი, 6 სექტემბერი. გფრ-ის ამ ქალაქში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი წყალქვეშა სპორტში. საბჭოთა სპორტსმენებმა მოიხვეჭეს 17 ოქროს მედალი. ორი ოქროს ჯილდო ხვდა გორკელ ტ. ანტონოვას. პირველი მან მოიპოვა ფარფლებით 800 მეტრზე ფინალურ გაცურვაში, როცა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 8.00,15, მეორე — 200-მეტრიან დისტანციაზე.

მოზარდები III ადგილზე არიან

მოსკოვში ორ კვირას მიმდინარეობდა ჭაბუკთა (1962-1963 წლებში დაბადებულთა) საკავშირო პირველობა მინი-რეგბიში (8:8) ჟურნალ „სპორტივნიე იგრის“ პრიზზე „ოქროს ოვალი“.

ტურნირში მონაწილეობდნენ უმაღლესი ლიგის კოლექტივებთან — „სლავასთან“, „ავტომობილისტთან“, „ლოკომოტივთან“, სამხედრო-საჰაერო აკადემიასთან, თბილისის „ივერიასთან“ არსებული ჭაბუკთა კოლექტივები, აგრეთვე, ლენინგრადის ნაკრები, ნოვოკუზნეცკის „ბურევესტნიკი“ და ლვოვის „სტროიტელი“.

მონაწილენი თავდაპირველად ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ. კენჭისყრით თბილისელი ჭაბუკები მოხვდნენ I ქვეჯგუფში, სადაც მათი მეტოქენი იყვნენ „სლავა“, „ავტომობილისტი“ და ნოვოკუზნეცკის „ბურევესტნიკი“.

ქართველ რეგბისტებს პირველი შერკინება „ავტომობილისტთან“ ჰქონდათ. როცა ანგარიში იყო 8:8 მოსკოველმა არბიტრმა ბ. როსტორგუევმა მოედანი დაატოვებინა თბილისელთა საუკეთესო მოთამაშეს გია მოდებაძეს.

თბილისელებმა რიცხობრივი უთანასწორობის მიუხედავად, 12 ქულის სხვაობით გაიმარჯვეს — 28:16. მეორე შეხვედრა „განთიადმა“ მძიმე ბრძოლის შემდეგ დათმო „სლავასთან“ — 18:20, სამაგიეროდ, დიდი ანგარიშით დაამარცხა ნოვოკუზნეცკელები — 36:8. ამრიგად, ამ ქვეჯგუფში თბილისელები II ადგილს დასჯერდნენ. პირველ ადგილზე გავიდა „სლავა“, რომელიც ჩემპიონობისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში შეხვდა სამხედრო-საჰაერო აკადემიის კოლექტივს. „სლავამ“ აღმავლობით ჩაატარა მატჩი, გაიმარჯვა ანგარიშით 28:20 და „ოქროს ოვალიც“ დაიმსახურა.

III საპრიზო ადგილისთვის „განთიადი“ შეხვდა „ლოკომოტივს“. თბილისელები წინ იყვნენ — 12:4, მაგრამ მატჩის მიწურულს ყურადღება მოადუნეს და „ლოკომოტივი“ დაეწია მეტოქეს — 12:12.

დაინიშნა დამატებითი დრო. აქ ჩვენმა ჭაბუკებმა იმარჯვეს — 20:16. მათ გადაეცათ მოვერცხლილი თასი და ბრინჯაოს მედლები. მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა რ. სანებლიძემ სიგელი მიიღო. ჩვენი ჭაბუკებისთვის ეს დიდი გამარჯვებაა, ვინაიდან გუნდი მხოლოდ 11 თვეა არსებობს და ფაქტიურად ამ ტურნირში პირველად მოუხდა ასპარეზობა.

მისასალმებელია, რომ „განთიადის“ ცენტრალური საბჭო დიდ ყურადღებას აქცევს რეზერვს.

თბილისელი ჭაბუკები მოსკოვში ამ შემადგენლობით თამაშობდნენ: ქ. კობერიძე, გ. რამიშვილი, ქ. იორდანიშვილი, ქ. ცხვედიანი, პ. ქურხული, მ. ქაჯაია, გ. მელაძე, მ. გარუჩავა, დ. უშარაული, გ. მოდებაძე, მ. ჩიხლაძე, გ. ჩხეიძე, ს. ხუციშვილი, ზ. ცხვირაშვილი და გ. სიხარულიძე.

20 სექტემბრიდან გურჯაანში დაიწყება საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული გუნდების პირველობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს თბილისის „სპარტაკი“.

დ. თაქთაქიშვილი.

მილოცვები, მილოცვები...

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს ვულოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას ფინალში...

ქართველი სპეციალისტების ჯგუფი (ისპაჰანი, ირანი).

ძვირფასო დინამოელებო, გილოცავთ წარმატებას და გისურვებთ ახალ წარმატებებს!

„ტყავის ბურთის" 1976 წლის გათამაშების ჩემპიონები — ერევნის „არარატი" და ლენინაკანის „შირაკი".

სულითა და გულით ვულოცავ წარმატებას თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელებს, ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს. ეს დიდებული საჩუქარია „დინამოს" ახალი სტადიონის გახსნისთვის.

ნონა გაფრინდაშვილი.
(სანდომირი, პოლონეთი).

სამშობლოსგან მოშორებით, ატლანტის ოკეანის წყლებში დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალს საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებას. გულწრფელად ვულოცავთ „დინამოს" მთელს კოლექტივს და მის უფროს მწვრთნელს ნოდარ ახალკაცს საპატიო ჯილდოს მოპოვებას. გისურვებთ წარმატებას საშემოდგომო ჩემპიონატშიც.

ტრაულერ „საქართველოს" კაპიტან-დირექტორი მ. კაკაბაძე, ეკიპაჟის წევრები: ი. შურღაია, რ. ყურაშვილი, ზ. მალანია, ვ. ლოლუა, გ. გიორგაძე, კ. ბახტაძე.

გილოცავთ წარმატებას, ძვირფასო დინამოელებო, გისურვებთ ჯანმრთელობას. მტკიცედ გეჭიროთ ქართული ფეხბურთის დროშა. მადლობა ამ დიდი სიამოვნებისთვის.

ტანკერ „ქუთაისის" კაპიტნის უფროსი თანაშემწე მჟავანაძე.

ძვირფასო მეგობრებო! შორეული ატლანტის ოკეანიდან ვულოცავთ დიდ წარმატებას საყვარელ გუნდს „დინამოს". ვუსურვებთ ყველა ფეხბურთელს ჯანმრთელობას და წარმატების გამეორებას საშემოდგომო ჩემპიონატში.

ტრაულერ „კახეთის" კაპიტან-დირექტორი თაბაძე, კაპიტნის თანაშემწე ზიმბლიცკი.

ტრაულერ „რუსთაველის" ოთხმოცკაციანი ეკიპაჟის სახელით გილოცავთ ფინალურ მატჩში ბრწყინვალე გამარჯვებას. გისურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სპორტში. მუდამ გამარჯვებული დაბრუნებულიყავით მშობლიურ ქალაქში.

ტრაულერ „რუსთაველის" კაპიტანი ლლონტი.

ორმოცი წლის მოლოდინი!

40 წელი ბევრია, ძალიან ბევრი. ოთხი ათეული წლის მანძილზე იცვლებიან თაობები, იცვლება ცხოვრება. მოდის ახალგაზრდობა, რომელიც ენერგიულ ხმაურსა და ყოველდღიურ საქმიანობაში თვითონაც ვერ ატყობს, ისე შეუმჩნევლად უერთდება ჩრდილში მიმდგარ ვეტერანებს და თავისდა უნებურად, უნებლიეთ იმეორებს იმ სიტყვებს, რომლებიც ათასჯერ უთქვამთ მამებს და პაპებს — ეჰ, ძველი დრო ჯობდა, წინათ გოგონებიც უფრო ლამაზები იყვნენ და საზამთროც უფრო ტკბილიო. მერე, თუ ლაპარაკი ფეხბურთზე მიდგა, საქმე შეიძლება ხელჩართული ბრძოლითაც დამთავრდეს. აბა, რომელი გულშემატკივარი დათმობს უჩხუბრად თავისი დროის ფეხბურთს, მისი თაობის მოთამაშეებს და ასე ხელაღებით გაალანძღვინებს თავის კერპებს, რომელთა გულისთვისაც, ვინ იცის, რამდენჯერ გადამძვრალა სტადიონის ღობეზე უბილეთობის „დუხჭირ" ჟამს? თვით ის დროც, როცა სტადიონზე ბილეთის შოვნა ისევე ჭირდა, როგორც ახლა ნამდვილი კოვბოური, გაქონილი და გაჭუჭყიანებული ჯინსებისა, თავისთავად ძნელი გასაგებია მათთვის, ვინც მატჩის დაწყებამდე სულ რაღაც 15 წუთით ადრე მოდის სტადიონზე, უშფოთველად ყიდულობს ბილეთს სალაროში და უკვე დაწყებული თამაშის დროს არხეინად მიალაჯებს რიგებს შუა, ნერვებს აწყვეტს მაყურებლებს.

40 წელი მთელი ეპოქაა ფეხბურთში. ვინ იცის, რამდენნაირი ცვლილება განიცადა ამ უკვდავმა თამაშმა, სანამ პრიმიტიული ტაქტიკური ნახაზიდან, რომელსაც „ხუთი ხაზზე" ერქვა, მიაღწია ურთულეს სამოქმედო სქემამდე, სადაც კაცი ვერ მიხვდება, ვის რა აკისრია მინდორზე და ვის რა მახე აქვს დაგებული მეტოქისთვის. რამდენი გუნდია, იმდენიც სქემაა. საქმე ლაბორატორიულ გამოკვლევებამდე მივიდა.

რა დარჩა ფეხბურთში უცვლელი ამ 40 წლის მანძილზე? თქვენ იტყვით: არაფერი! ყველაფერი იცვლება, ყველაფერი წინ მიდის.

არა! უცვლელი დარჩა ერთი რამ: 40 წელია უკვე დაუღლელი მოლოდინით, მარადიული იმედით ველით თასს, საბჭოთა კავშირის თასს ფეხბურთში, ბროლის ლამაზ ნაკეთობას, რომელმაც თითქმის მთელი ჩვენი ქვეყანა მოიარა, თბილისში კი არც ერთხელ, არც ერთი წლით არ ჩამოიხედა, თუმცა მრავალჯერ იყო მოპატიჟებული ჩვენს ქალაქში და თითქმის კარის ზღურბლთანაც ჰქონდა ფეხი შემოდგმული.

რატომ გვაქვს ჩვენ, თბილისის „დინამოს" გულშემატკივრებს, ასეთი კატეგორიული პრეტენზიები, რომ თასი აუცილებლად ჩვენად ვიხილოთ? რატომ ვამბობთ, რომ ბროლის ლარნაკს ველით არა, ვთქვათ, 28 ან 38 წელი, არამედ ზუსტად 40?

საამისო უფლება გვაქვს და კანონიერიც. თბილისის „დინამოს" ავტორიტეტი ჩვენს ფეხბურთში ისეთია, რომ მას დღემდე უნდა გაეკეთებინა ის, რაც მრავალგზის გააკეთეს მოსკოვის „დინამომ" და „სპარტაკმა", ცდსა-მ და „ტორპედომ", „ლოკომოტივმა" და ლენინგრადის „ზენიტმა", დონეცკის „შახტიორმა" და ერევნის „არარატმა", კიევის „დინამომ", თვით ლვოვის „კარპატიმაც" კი, რომელიც იმხანად უმაღლესი ლიგის თამაშებს შორიდან, მარტოოდენ ტელევიზიით და გაზეთებით თუ იცნობდა.

მაინც, რა შეუღლოცეს ასეთი უსაშველო ამ თასს თბილისის „დინამოს" საწინააღმდეგოდ, რომ გუნდმა ხუთჯერ ილაშქრა მისი დაპყრობისთვის ფინალში და ვერა და ვერ დაძლია თავისი ბოლო კონკურენტის წინააღმდეგობა? მეორე სტრიქონი თასის ისტორიის ანალებში მას ხუთჯერ ეკავა, მაგრამ ხუთჯერ მეორედ ყოფნას ერთხელ პირველი იყო, ის ჯობს.

თანაც როდის არ უბრძოლიათ დინამოელებს თასის გათამაშების ფინალში: 30-იან წლებში, 40-იან წლებში, 60-იან წლებში, 70-იან წლებში. რაღაც ფატალური უიღბლობაა. მერე, არ დაგავიწყდეთ, ხუთივე ფინალში ჩვენი მეტოქეები მოსკოველები იყვნენ, რომლებიც მასპინძელთა რანგში არაფრით არ თმობდნენ ამ 4-კილოგრამიან ბროლს.

მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე რომ შეხვალთ, ლუჟნიკში, ლამაზად გაფორმებულ სტენდს ნახავთ, რომელსაც ფერადი ასოებით აწერია: „სსრ კავშირის თასის მფლობელები ფეხბურთში". თბილისის „დინამო" იქ მოხსენებული არაა. ჩამომწკრივებული არიან მხოლოდ პირველები, მეორეები, ამ შემთხვევაში, ალბათ, არავის აინტერესებს.

მაშ რატომ ველით თასს საქართველოში ეს 40 წელი?

იმიტომ, რომ ზუსტად 40 წლის წინათ, 1936 წლის 28 აგვისტოს, პირველად გვქონდა რეალური შესაძლებლობა მოგვეპოვებინა პრიზი ფინალურ მატჩში მოსკოვის „ლოკომოტივთან", მაგრამ ხელი მოგვეცარა. პირველი წარწერა ვერცხლის ხუფზე რკინიგზელთა სასარგებლოდ ამოკვეთა გრავიორმა.

მერე იყო მოსკოვის „დინამო", „სპარტაკი", „ტორპედო", კვლავ „დინამო", ჩვენი გამარჯვების პრობლემა კი სულ სამერმისო, შემდგომი წლების საქმედ გადადიოდა ახალი ფეხბურთელებისა და ახალი მწვრთნელების ხელში. ისტორია ულმობლად გვედგა ჯიბრში და მეორდებოდა საოცარი თანმიმდევრობით.

და აჰა, დადგა ჩვენი ჯერიც: 1976 წლის 8 სექტემბერი, მოსკოვი, ლუჟნიკის სტადიონი, მოზეიმე ტრიბუნები, ცენტრალურ ადგილას თასს იბარებს თბილისის „დინამო", ურიცხვ ფოტორეპორტიორთა წინაშე დგანან გუნდის უფროსი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი, გუნდის უფროსი ნიაზი ძიაპშიპა, მწვრთნელი სლავა მეტრეველი, გუნდის კაპიტანი მანუჩარ მაჩაიძე, ექიმი ზაქრო თელია, ფინალური მატჩის მონაწილეები — დავით გოგია, ნოდარ ხიზანიშვილი, ფირუზ კანთელაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ზორბეგ ებრალიძე, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ჩელებაძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, ვახტანგ კოპალეიშვილი, ზურაბ წერეთელი, აქვე არიან სხვა დინამოელებიც — ვახტანგ ქორიძე, დავით მუჯირი, გოჩა მაჩაიძე, მალხაზ გაგოშიძე. მატჩი მოგებულია, თასი ხელიდან ხელში გადადის, შემდეგ ფეხბურთელები გამარჯვებულთა ტრადიციულ წრეზე მირბიან, ტაში ტალღასავით გადადის ტრიბუნიდან ტრიბუნაზე.

უკან დარჩა შეუპოვარი ბრძოლით აღსავსე 90 წუთი, უკვე საფეხბურთო ისტორიაში ჩაიწერა ყიფიანის, კანთელაძისა და ჩელებაძის სამი გოლი...

თასის გათამაშების ფინალური მატჩი მუდამ განუმეორებელი სანახაობაა. იგი სეზონის კულმინაციაა. შეიძლება, ჩემპიონატის გზა უფრო რთული და დახლართულია, მაგრამ მის მარათონულ დისტანციაზე ბრძოლა უფრო თანმიმდევრულად და მეთოდურად ვითარდება, აქ კი ყველაფერი მთავარი და გადამწყვეტია, აქ სახვალიოდ ვერაფერს გადადებ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს ახლავე, ამ წუთს, დაუყოვნებლივ. ერთი შეცდომაც კი იმას ნიშნავს, რომ გამოსასწორებელი დრო აღარა გვაქვს, შეცდომა წაგებაა.

წლევანდელ ფინალში ტიტულიანი მეტოქეები შეხვდნენ ერთმანეთს: ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — ერევნის „არარატი" და ბრინჯაოს პრიზიორი — თბილისის „დინამო". რაიმე შემთხვევით წარმატებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, როცა საქმე ეხება ასეთი რანგისა და კატეგორიის კლუბებს.

ხუთჯერ იბრძოლეს თბილისელებმა ფინალში და ხუთჯერვე დამარცხდნენ, სამჯერ გავიდა ფინალში „არარატი" და ორჯერ ერევანში წაიღო თასი. სტატისტიკა აშკარად ჩვენს საწინააღმდეგოდ მეტყველებდა, ამიტომ საჭირო იყო ძალების საგანგებო მობილიზება, ყოველი რეალური თუ სავარაუდო შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენება, რათა გაუთვალისწინებელი არაფერი დარჩენილიყო. მეექვსე დამარცხება ფინალში მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა იქნებოდა თვით ფეხბურთელებისთვისაც და გულშემატკივრებისთვისაც. განა ტრავმირებული მაყურებელი რამით სჯობს ტრავმირებულ ფეხბურთელს? ფეხბურთელს ფიზიკური ტრავმა გაცილებით უფრო ადრე ურჩება, ვიდრე გულშემატკივარს ღრმად ჩაბეჭდილი ურწმუნობა.

სხვათა შორის, ფინალური მატჩის წინა დღეს ვიზიტი გავუკეთე „სოვეტსკი სპორტისა" და „ფუტბოლ-ჰოკეის" მოსკოველ კოლეგებს, ფეხბურთის განყოფილების მუშაკებს და სიტყვა ჩამოვუგდე ხვალინდელ თამაშზე. მაინტერესებდა, ვინ რას ფიქრობდა, როგორ აფასებდა მეტოქეთა შანსებს. ვიცი, რომ ფეხბურთის სპეციალისტები, მწვრთნელები, პრაქტიკული მომუშავეები ერთი თვალსაზრისით აფასებენ მოვლენებს, მიმომხილველები კი ხშირად სხვა საზომით უდგებიან პროგნოზის საკითხს. მე სწორედ ამ უკანასკნელთა აზრი მაინტერესებდა.

დავიწყე ოლეგ კუჩერენკოთი („სოვეტსკი სპორტი"):

— რას ფიქრობ, რას ელი ხვალინდელ მატჩში?

— მე ორი აზრი არა მაქვს. თუკი რამე მესმის ფეხბურთში, თბილისის „დინამომ" უნდა მოიგოს,

— რატომ?

— პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ დონეცკში „შახტიორთან" მოგებულმა მატჩმა დამარწმუნა ამაში. ეს ჩემი პროფესიული შეხედულებაა. და მერე — არ შეიძლება მეექვსედ დამარცხება. ასეთი რამ იშვიათად ხდება.

ახლა სხვა თანამშრომლებს დავუყევი: ვ. ბერეზოვსკი, ვ. ზამოვი, ი. ხეგენევიჩი, ლ. ფილატოვი, გ. რადჩუკი, ვ. ვინოკუროვი...

— ტყუილად დადიხარ, ჩემო ძმაო, — მითხრა კუჩერენკომ. — დიდი ხანია ჩვენ ამ საკითხზე ვი-

(დასასრული მე-3 გვ.).

თასის მისამართია თბილისი!

წინაა სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩი, 90 წუთი. ვინ გაიმარჯვებს — „დინამო" თუ „არარატი". ამ საკითხის გადაწყვეტამდე ბროლის თასს ვერავინ ახლებს ხელს. იგი „საპატიო ყარაულის" გარემოცვაშია.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

სამი პრიზი

თბილისის „დინამოსა" და ერევნის „არარატის" ფინალურ მატჩში, როგორც ვიუწყებოდით, დაწესებული იყო 3 სპეციალური პრიზი ცალკეულ ფეხბურთელთათვის.

სომხეთის სპორტკომიტეტმა დააწესა პრიზი ფეხბურთელისთვის, რომელიც პირველ გოლს გაიტანდა ფინალში. იგი წილად ხვდა თბილისის „დინამოს" წევრს დ. ყიფიანს.

საქართველოს სპორტკომიტეტმა დააწესა 2 პრიზი ყოველი გუნდის საუკეთესო მოთამაშეთათვის. ავტორიტეტულმა ჟიურიმ თბილისის „დინამოს" საუკეთესო მოთამაშედ ამ მატჩში სცნო მ. მაჩაიძე, ხოლო ერევნის „არარატში" — ნ. პეტროსიანი. პრიზები ამ ფეხბურთელებს გადასცა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეობის შემსრულებელმა დ. პერტენავამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას წერს ცენტრალური პრესა

„პრავდა". „თასი იცვლის მისამართს".

„გუშინ მოსკოვში, სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო" და ერევნის „არარატი". დინამოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0 და პირველად მოიპოვეს საპატიო თასი, რომელიც ახლა ახალი მარშრუტით გაემგზავრება თბილისში.

...ერევნელთა თამაშში გამოსჭვიოდა მხურვალე ემოციები, თითქოს, ხატოვნად რომ ვთქვათ, ისინი ცდილობდნენ თასის ბედის ჩიტი ჰაერშივე დაეჭირათ. თბილისელები კი ამ ჩიტისთვის გაცილებით უფრო გულმოდგინედ ამზადებდნენ ბადეს, უფრო საფუძვლიანად წარმართავდნენ შეტევას".

ლ. ლებედევი.

● ●

„იზვესტია". „პირველნი პირველად". „თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა მოიპოვეს სსრ კავშირის თასი".

„თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები თავიანთი კლუბის ისტორიაში მეექვსედ გავიდნენ ჩვენი ქვეყნის თასის გათამაშების ფინალში და 3 სექტემბერს პირველად მოიპოვეს ეს საპატიო ჯილდო მოსკოვში, როცა დაამარცხეს ერევნის „არარატი" ანგარიშით 3:0.

— „დინამოში" ახლა უფრო მეტი გამოცდილი ფეხბურთელია, ვიდრე „არარატში". ჩემი აზრით, სწორედ ამან მოუტანა წარმატება დინამოელებს, — განაცხადა მოსკოვის „სპარტაკის" კაპიტანმა ე. ლოვჩევმა.

...თბილისელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ახლანდელი სეზონისთვის ისინი შესანიშნავად მოემზადნენ".

● ●

„ფუტბოლ-ჰოკეი". „თასის ხუფზე წერია — „დინამო" (თბილისი)".

„სხვადასხვა გამარჯვება არსებობს ფეხბურთში: ტურნირებში, ჩემპიონატებში, მაგრამ გამარჯვება თასის გათამაშებაში ყოველთვის განუმეორებელია. აქ მოგებას მაშინვე თან სდევს ჯილდო. მას არ უნდა ელოდო, როგორც ეს ჩემპიონატშია, სადაც მედლებს, როგორც წესი, აძლევენ მერე, მოგვიანებით, როცა ჰალსტუხებსა და კოსტიუმებში გამოწყობილნი საზეიმოდ უცდიან მონაპოვარს სცენაზე. თასის გათამაშებაში სხვაგვარად ხდება, სპორტულად, როგორც ამას თვით ფეხბურთის არსი მოითხოვს. აფორიაქებულ, დაღლილ, ბედნიერებით სავსე თბილისის დინამოელებს აქვე, მოგებიდან რამდენიმე წუთის მერე გადაეცათ სსრ კავშირის ბროლის თასი. იგი ჯერ მანუჩარ მაჩაიძემ მიიღო, შემდეგ გადასცა მეორეს, თასი ხელიდან ხელში გადადიოდა და არ ასცდენია არავის, ვინც კი თავისი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში".

ვ. ვინოკუროვი, გ. რადჩუკი.

● ●

„სოვეტსკი სპორტი". „ანე ნანატრი გამარჯვება".

„თბილისის დინამოელებმა დამაჯერებლად მიიყვანეს თამაში ბოლომდე 3 ბურთის უპირატესობით. სათანადო უნდა მივუზღოთ დინამოელთა გუნდს, რომელმაც ფინალურ მატჩში გამოავლინა თავისი საუკეთესო მხარეები — ზუსტი და ორგანიზებული დაცვა და სწრაფი, შედეგიანი შეტევები. 40 წლის წინათ თბილისელები პირველად გავიდნენ სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალში, ხუთი მათი ცდა გადამწყვეტ შეხვედრებში წარუმატებლობით მთავრდებოდა. და აი, გამარჯვება — დამსახურებული და დამაჯერებელი. ვულოცავთ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძველეს კლუბს ამ შესანიშნავ გამარჯვებას".

ო. კუჩერენკო, ი. ხეგენევიჩი.

ორმოცი წლის მოლოდინი!

დასასრული

დავეთ, ავწონ-დავწონეთ „დინამოსა“ და „არარატის“ შანსები. ყველა იმას გეტყვის, რაც მე გითხარი.

„სოვეტსკი სპორტის“ რედაქციიდან ისე გამოვედი, თითქოს ქაღალდში გახვეული თასი იღლიაში მქონდა ამოჩრილი. დიდი საქმეა იმედი!

იმ დღეს მოსკოვის ზეცა დილიდან საეჭვოდ იმუქრებოდა, შუადღისას ცოტა წამოჟინჟლა კიდეც, მაგრამ მუქარა მხოლოდ მუქარად დარჩა: ამინდი იდეალური იყო ფეხბურთისთვის.

და აი, 19 საათი, პ. კაზაკოვი, ვ. რუდნევი, ვ. ჟარკოვი მიემართებიან მინდვრის ცენტრისკენ, კაზაკოვი უხმობს ორივე გუნდს, 32 ფოტორეპორტიორი ძველი „ბერდანკის“ სისტემის თოფივით აჩხაკუნებს საკეტებს, ცერემონიალი, ყვავილები, ხმაური.

ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა და არბიტრმა პირველი სასტვენი მისცა.

დაიწყო.

მე გეკითხებით: აქვს ახლა აზრი ფეხდაფეხ მივყვეთ მატჩის მსვლელობას, გავარჩიოთ მისი ცალკეული პერიოდები და მონაკვეთები, კომბინაციები, რგოლების ურთიერთმოქმედებანი და სხვა „წვრილმანები“, რასაც ჩვეულებრივ ვაკეთებთ ყოველი მატჩის შემდეგ? ყველაფერი თქვენც მშვენივრად ნახეთ, გარკვეული შთაბეჭდილებაც შეგექმნათ და არ მინდა ისინი დავარღვიო ჩემი მოსაზრებით. ასეთი „პოსტ-ფაქტუმ“ მხოლოდ დისონანსს შეიტანს ჩვენს საერთო სადღესასწაულო განწყობილებაში. ზეიმი უნდა შეირგო ერთიანად, მთელი მისი სისრულით, დეტალებისა და დანაწევრების გარეშე. გაშლილი სუფრა მთლიანად უფრო ლამაზი და შთამბეჭდავია, ვიდრე შემწვარი გოჭის ახლეჩილი ბარკალი.

ცოტა ზევით მინდოდა მეთქვა, მაგრამ გამომრჩა, რომ ზოგიერთი მიმომხილველი მატჩის წინ წერდა, „არარატს“ დიდი დანაკლისი აქვს დაშავებული ანდრეასიანის სახით. ანდრეასიანი, რა თქმა უნდა, სერიოზულ ძალას წარმოადგენს მის გუნდში, მაგრამ თბილისელთა იმ დანაკლისზე რაღა ვთქვათ, რომელიც ქელიძეს, მუჯირს და დარასელიას შეეხება? სამი ასეთი მოთამაშე არ გვყავდეს ფინალში, ეს ნიშნავს სრულფასოვან კომპენსაციაზე ადრევე ჩაიქნიო ხელი.

მაგრამ, როგორც იცით, კომპენსაციაც სრულფასოვანი გამოდგა, თამაშიც და მოგებაც: 3 ბურთის განსხვავებით სულ 5 ფინალური მატჩია დამთავრებული 35 გათამაშებაში!

შესანიშნავად იცავდა კარს გოგია. ეს 3:0 მისი დიდი დამსახურებაცაა, ვინაიდან ძნელი ბურთების აღება მას არაერთხელ მოუხდა.

ძალების უკიდურესი დაძაბვით იბრძოდნენ დაცვაში ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე. ერევნელებმა ვერაფერი გააწყეს ჩვენს საჯარიმო მოედანზე.

ჩივაძე, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი ნახევარდაცვაში მოქმედებდნენ დაუღალავად, ვრცელ დიაპაზონზე, კარგი დაზღვევით.

თავდასხმის ხაზში წუნი არ დაედებოდათ გუცაევს, ყიფიანს და ჩელებაძეს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თავისი საქმე ყველამ გააკეთა: ყიფიანმა და ჩელებაძემ გოლები გაიტანეს, ხოლო გუცაევმა 11-მეტრიანი დარტყმის უფლება მისცა გუნდს. მადლობის მეტი რა გვეთქმის ყიფიანის მიმართ, რომელიც მტკივანი, ნაკერებიანი ფეხით თამაშობდა ფინალში და ღირსეულად ედგა სათავეში მის იერიშებს. მხოლოდ მაშინ დაუთმო მან ადგილი წერეთელს, როცა გამარჯვება პრაქტიკულად მოპოვებული იყო და წერეთელმაც ყველაფერი გააკეთა ამ წარმატების შენარჩუნებისთვის.

გავიმარჯვეთ! გავიმარჯვეთ ღირსეულად, დამსახურებულად, დარწმუნებულად, დიდი ანგარიშით, ყოველგვარი სათუო და საყოყმანო ვარიაციების გარეშე. თუ რა ხდებოდა თბილისელ ფეხბურთელთა გასახდელში მატჩის დამთავრების შემდეგ, რა აუწერელი აჟიოტაჟი სუფევდა, ამისი წარმოდგენა მკითხველის ფანტაზიისთვის მიმინდვია.

ყველამ, ვისაც კალამი აუღია ხელთ, იცის, რომ ძნელია დამარცხებაზე წერა, მაგრამ არანაკლებ ძნელია წერა გამარჯვებაზეც. ვერ ერევი ემოციებს, თავს ვერ უყრი დეტალებს, ფიქრი ხან სადღაც შორს, მომავლისკენ გარბის, ხანაც ლუჟნიკის მწვანე მინდორს უბრუნდება კვლავ და კვლავ.

ძნელია ასე იოლად გაართვა თავი ასრულებულ ხანგრძლივ მოლოდინს, ორმოცი წლის ნანატრ, საოცნებო მოლოდინს. ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ქართული ფეხბურთის ბედი, საკუთარი თვალით ნახა ყველაფერი, რაც 3 სექტემბრის ფინალურ მატჩში მოხდა და კვლავ იხილავს იმ ფაქტობრივ მასალას, რასაც მას საქართველოს ტელევიზია და კინოქრონიკა მიაწვდიან. ჩვენ კი ჯერჯერობით ამ მოკრძალებული წერილით შემოვიფარგლებით.

ბ. ძორძია.

მოსკოვი.

● ●

P.S. მატჩის მეორე დღეს საქმეზე მივედი ლუჟნიკის სტადიონზე, მხატვარი ფუნჯით და საღებავით მისდგომოდა სტენდს წარწერით „სსრ კავშირის თასი ფეხბურთში“ და ლამაზად გამოჰყავდა: „1976 წელი. „დინამო“ (თბილისი).

ბ. ძ.



, APAPAT . - , ДИНАМО , /ТБ/
0 - 3
27 МИН КИПИАНИ ДИНАМО N 10
64 МИН КАНТЕЛАДЗЕ ДИНАМО N 3
68 МИН ЧЕЛЕБАДЗЕ ДИНАМО N 8

თასის მისამართია თბილისი!

ჩვენს სურათებზე, რომლებიც ა. კოტორაშვილმა გადაიღო მოსკოვში, აღბეჭდილია ლუჟნიკის ელექტროტაბლო მატჩის საბოლოო ანგარიშით და ფინალის 3 გოლი.

• • •

სურათებზე: (ზევიდან ქვევით). ამ თანამიმდევრობით გაიტანეს ბურთები „არარატის“ კარში დ. ყიფიანმა, ფ. კანთელაძემ და რ. ჩელებაძემ.

მილოცვები, მილოცვები...

ძვირფასო რედაქცია! გთხოვთ მიულოცოთ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებსა და ხელმძღვანელობას ეს დიდი გამარჯვება. ვუსურვებთ მათ წარმატებას საერთაშორისო ასპარეზზეც. დიდ მადლობას ვუცხადებთ იმ სიამოვნებისთვის, რაც ფეხბურთის გულშემატკივრებს მიანიჭეს 3 სექტემბერს.

ცხინვალის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა.

რას წერს ცენტრალური პრესა

„ტრუდი“. „გამარჯვებას გილოცავთ, თბილისელებო!“

„როგორც კი გაისმა საფინალო სასტვენი, 32 ფოტორეპორტიორი გაეშურა უსაზღვროდ ბედნიერ გამარჯვებულთა გადასაღებად. დიახ, ჯერ კიდევ 40 წლის წინათ სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველ ფინალურ მატჩში იბრძოდნენ თბილისელები პრიზისთვის, მაგრამ იძულებული იყვნენ დაეთმოთ „ლოკომოტივისთვის“. შემდეგ კიდევ ოთხჯერ გავიდნენ საქართველოს ფეხბურთელები ფინალში, მაგრამ უთმობდნენ ხან „დინამოს“, ხან „სპარტაკს“, ხან „ტორპედოს“ და აი, წარმატება! ახალგაზრდა, დაკვირვებული მწვრთნელის ნ. ახალკაცის ხელმძღვანელობით, რომელსაც ეხმარებიან კლუბის ვეტერანები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ს. მეტრეველი, ნ. ძიაპშიპა და სპორტის ოსტატი ს. კუტივაძე, ნიჭიერმა გუნდმა, რომელმაც ასე ბევრი გააკეთა მთელი საბჭოთა ფეხბურთისთვის, მოიგო სანუკვარი პრიზი.

ძალიან გვინდა, რომ თბილისელებმა საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირებშიც ისე დამაჯერებლად, თანამედროვე დონეზე და კორექტულად ითამაშონ, როგორც განვლილ, მათთვის განსაკუთრებით სამახსოვრო მატჩში“.

ი. ვანიატი.

● ●

„კომსომოლსკაია პრავდა“. „აღსრულდა ბროლის ოცნება“.

„აღსრულდა ბროლის ოცნება! უნდა შეგეხედათ თვალებში თბილისის დინამოელთა კაპიტნის მანუჩარ მაჩაიძისთვის, როცა მას ჩააბარეს ბროლის თასი, რომ მიმხვდარიყავით: სექტემბრის ეს მოღრუბლული საღამო ყველაზე ნათელია მის ცხოვრებაში“.

— მე ძალიან კარგად მახსოვს 1970 წლის თასის ფინალი, — თქვა შოთა ხინჩაგაშვილმა. — ალბათ იმიტომ, რომ თვითონ გავიტანე მაშინ გოლი. მაგრამ გამარჯვებისთვის, როგორც ეს ხშირად მომხდარა, არ გვეყო ნებისყოფა, სპორტული ჟინი. და აი, ახალი მწვრთნელის ნოდარ ახალკაცის მოსვლის შემდეგ მთელმა გუნდმა გადაწყვიტა დაეწყო ახალი ცხოვრება: „პრემიერთა“ გარეშე, ვარჯიში „მეშვიდე ოფლამდე“. თასის ნახევარფინალში „შახტიორთან“ გამარჯვების შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდით საკუთარ ძალებში.

დიახ, იმ საღამოს ლუჟნიკში ჩვენ ვიხილეთ ახალი თბილისის „დინამო“ — შეკავშირებული და გაბედული გუნდი, რომელსაც შეუძლია იბრძოლოს ბოლომდე და ყველაფერი მისცეს გამარჯვებას.

ს. ზაჩინი.

პარტიული მუშაკის ტრიბუნა

დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე

დასასრული

ბის კანდიდატებს ა. მექვაბიშვილს, ი. ვაშალომიძეს, პირველთანრიგოსნებს ვ. ხჩელიძეს, თ. ნაცვალაძეს, მ. კიშინსკის, გ. ხალიბინს, ი. კვაჭანტირაძეს, ლ. ლაპინას, ა. ცეცხლაძეს, კლასიკური სტილის მოჭიდავეებს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს ჯ. მეგრელიშვილს, ო. ბლაგიძეს, სპორტის ოსტატ დ. კუპრაძეს, ო. ბოლქვაძეს, მ. სიორიძეს. ზემოჩამოთვლილმა სპორტსმენებმა სახელი გაითქვეს რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე. ისინი არიან საქართველოს ჩემპიონები და რეკორდსმენები, სსრ კავშირის პირველობათა პრიზიორები, ევროპის ჩემპიონები.

რაიონის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა გადაჭარბებით შეასრულეს სპორტსმენ-თანრიგოსანთა, მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების შარშანდელი გეგმები. მომზადებულია 1 სპორტის ოსტატი, 2 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 79 პირველთანრიგოსანი, 4025 მასობრივი თანრიგების სპორტსმენი, 4518 მშდ კომპლექსის სხვადასხვა საფეხურის ნიშნოსანი. ეს ნორმატივები ჩაბარდა რაიონის 129 ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივში, რომლებშიც 21399 ადამიანია გაერთიანებული.

ნიშნოსან-თანრიგოსანთა მომზადების შარშანდელი გეგმების გადაჭარბებით შესრულებისთვის რაიონის სპორტკომიტეტი (თავმჯდომარე ო. კიშინსკი) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. ამ წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვით მე-3 (დირექტორი ვ. კილაძე, ფიზაღზრდის მასწავლებლები ს. ქარჩილაძე, მ. ბოლქვაძე), 1-ლი (ხ. ხავთასი, ვ. კილაძე), შემოქმედის (გ. კეკელია, გ. დუმბაძე), ვაკიჯვრის (მ. გოლიაძე, ა. სიამაშვილი) საშუალო სკოლების ფიზკულტურულ კოლექტივებს. კარგადაა დაყენებული მოსწავლე გოგონათა ფიზიკურად აღზრდის საქმე დვაბზუს საშუალო სკოლაში (ს. მგალობლიშვილი, ო. ქავჟარაძე).

კარგად მუშაობენ, აგრეთვე, ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. წითლიძე, ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე გ. მიმინოშვილი), შრომის (მ. ორაგველიძე, პ. ტუღუში), ზვანის (პ. ბელიქანიძე, გ. მგელაძე) კოლმეურნეობების, ლაითურის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის (ქ. გოგიბერიძე, გ. გვარჯალაძე), ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის (ი. მგალობლიშვილი, მ. სოსელია) ფიზკულტურული კოლექტივები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ფიზკულტურული ორგანიზაციის ნაყოფიერი მუშაობა. აქ აღზრდილი ბევრი ახალგაზრდა იცავდა და ამჟამადაც იცავს რაიონის ნაკრები გუნდების ღირსებას რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. რაიონის წარმატებებში თავისი წვლილი შეაქვთ, აგრეთვე, მახარაძის კვების მრეწველობის ტექნიკუმის (დირექტორი ა. გამაყმაძე, ფიზაღზრდის მასწავლებლები ე. კოტრიკაძე, კ. თავართქილაძე), 53-ე პროფტექნიკური სასწავლებლის (ს. დარჩია, ო. თავბერიძე) და აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის (ი. მახარაძე, ჯ. მდინარაძე) ფიზკულტურელებს. კარგად მუშაობენ რაიონის ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებები და ბავშვთა სპორტული სკოლა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, უნდა აღინიშნოს, რომ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებები. წარმატებები უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, ქალაქად ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს რომ ჰქონდეთ მარტივი ტიპის სპორტული მოედნები. ბავშვთა სპორტულ სკოლაში წლების მანძილზე სპორტდარბაზი არ არის. აკლიათ სპორტული ინვენტარიც. რაიონის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარებას აფერხებს საცურაო აუზის უქონლობა. ცურვაში ნორმატივების ჩასაბარებლად ახალგაზრდები მასწავლებლების ხელმძღვანელობით სხვადასხვა რაიონებში დადიან. მართალია, საცურაო აუზისა და ბავშვთა სპორტსკოლის სპორტდარბაზის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა კარგა ხანია დამტკიცებულია, მაგრამ მშენებლობის დაწყება მაინც ჭიანურდება. ძალზე გაჭიანურდა, აგრეთვე, რეკონსტრუქცია ყოფილი ბამბუკის ქარხნის შენობისა, რომელიც სპორტდარბაზად უნდა გადაკეთდეს. საშველი არ დაადგა მე-2 საშუალო სკოლის სპორტდარბაზის მშენებლობის დამთავრებას. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებს მარტივი ტიპის სპორტული მოედნებიც კი არა აქვთ. ასეა, მაგალითად, მზიანის, მთისპირის, ხვარბეთის, მერიის კოლმეურნეობებში, ხოლო ნაღობილევში, გურიანთაში, ნაგომარში და ზოგიერთ სხვა სოფელში არსებული სპორტული მოედნები გამოუყენებელია. ზოგან ბაზა კაპიტალურ შეკეთებასა და კეთილმოწყობას მოითხოვს. რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების სპორტულ სექციებში ისევ ნაკლებად არიან ჩაბმული ქალები. ნაკლები მუშაობა ტარდება ტანვარჯიშის, კალათბურთის, ლელობურთის განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის, რაც უნდა გაითვალისწინონ ნებაყოფლობითმა საზოგადოებებმა.

პარტიის მახარაძის რაიკომს, რაისაბჭოს აღმასკომს დასახული აქვთ ამოცანა, რომ რაიონში შეიქმნას უკეთესი პირობები სპორტის ყველა ძირითადი სახეობის განვითარებისთვის. ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ რაიონის ძირეულ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს კარგი სპორტული ბაზები ჰქონდეთ. „არც ერთი სოფელი, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სკოლა, ტექნიკუმი და საწარმო უბაზოდ არ დარჩეს" — ასეთია ჩვენი დევიზი.

პარტიის რაიონული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები კვლავაც იზრუნებენ, რომ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მოწოდების სიმაღლეზე იდგეს, აღუზარდონ ქვეყანას ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი ახალგაზრდობა.

ე. მალაზონია,
საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი.

კანადის პრიზზე

ბევრი მღელვარება განაცდევინა სპორტის მოყვარულებს სსრ კავშირისა და შვეციის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების მატჩმა „კანადის თასზე", რომლის ტრანსლაციაც კვირას მოეწყო მონრეალიდან. როგორც ცნობილია, მატჩის ანგარიშია 3:3. ახალგაზრდულმა საბჭოთა გუნდმა, თუ შეიძლება ითქვას, ორმაგი შთაბეჭდილება მოახდინა.

მატჩი მან გაუბედავად დაიწყო და ამისთვის მალე დაისაჯა კიდეც: ანგარიში გახდა 0:2. მაგრამ შემდეგ ახალგაზრდა სპორტსმენებმა ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინეს და სწრაფად, ენერგიულად დაიწყეს თამაში. მათს შეუპოვარ იერიშებს წარმატება მოჰყვა. ანგარიში გახდა 3:2 სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ, მაგრამ ბოლო წუთებზე შვედებმა კიდევ ერთი შაიბა გაიტანეს.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობა მართლაც ექსპერიმენტულია. ახალგაზრდა ჰოკეისტებმა ნიჭიერება გამოავლინეს, მაგრამ გამოცდილება არ ეყოთ. სამწუხაროდ, მათ შაიბის გატანის ბევრი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა დაამარცხა ფინეთის გუნდი — 8:0, კანადის ნაკრებმა მოუგო აშშ-ს ჰოკეისტებს — 4:2. ამავე დროს კანადელებმა მეოთხე გოლი მაშინ გაიტანეს, როცა ამერიკელები მატჩის ფრედ დამთავრებისთვის იბრძოდნენ და მეკარე შეცვალეს მოედნის მეექვსე მოთამაშით.

(საგდესი).

მოროზოვას ხელი მოეცარა

ფორესტ-ჰილსი. აშშ-ს ამ ქალაქში გრძელდება ქვეყნის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. მოსკოველი ო. მოროზოვა ერთეულთა შეხვედრების მესამე წრემდე მივიდა, მაგრამ შემდეგ დაყარა ფარ-ხმალი მასპინძელთან, კ. კიიუენდოლთან — 4:6, 4:6.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ჩემპიონატის ქრონიკა

4 და 5 სექტემბერს გაიმართა მორიგი შეხვედრები.

„ზენიტი" — „ზარია" 3:1. ანგარიში მე-8 წუთზე გახსნა ლენინგრადელმა ორლოვმა. ეს გოლი 11-მეტრიანი დარტყმით იქნა გაქვითული პინჩუკის მიერ, მაგრამ მარკინის ორმა ზუსტმა დარტყმამ გამარჯვება მოუტანა ლენინგრადელებს.

„დინამო" (მინსკი) — „კრილია სოვეტოვი" 0:0.

„ტორპედო" — „კარპატი" 2:0.

უმაღლესი ლიგა

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

მკითხველებს გავაცნობთ ქუთაისის „ტორპედოს" გუნდის იმ შემადგენლობას, რომელმაც ითამაშა კიშინიოვის „ნისტრუსთან": გაბელია, კოსტავა, სულაქველიძე, ხურცილავა, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, შელია, ფესტვენიძე (ფარულავა), ხერხაძე, შენგელია (ქვირია).

ამ მატჩში გოლები გაიტანეს პიუნოვსკიმ (მე-19 წუთი) და ჩახუნაშვილმა (80).

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა I ზონა

4 სექტემბერს შედგა გათამაშების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები, რომელთა შესახებაც ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

„დილა" (გორი) — „დინამო" (ბათუმი) 1:0

გათამაშების ცხრილში ერთმანეთის მეზობლად მყოფი ამ გუნდების შეხვედრას მაყურებელი დიდი ინტერესით მოელოდა. თამაში დაიწყო ორმხრივი იერიშებით, რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა ორივე კართან. მერე კი, მე-15 წუთზე, დინამოელთა კართან მომხდარი არეულობით ისარგებლა მღებრიშვილმა და ანგარიში გახსნა.

შესვენების შემდეგ ბათუმელები ბევრს ეცადნენ დაეღწიათ თავი დამარცხებისთვის, ხოლო მასპინძლები თავგამოდებით იბრძოდნენ 2 ქულის შესანარჩუნებლად. ეს ამოცანა „დილამ" წარმატებით შეასრულა და გამარჯვებულმა დატოვა მინდორი.

ი. თევდორაშვილი.

„ლოკომოტივი" (სამტრედია) — „გურია" (ლანჩხუთი) 2:1

ზონის ერთპიროვნულ ლიდერთან მატჩის წინ მასპინძლებმა თავისებური „დოპინგი" მიიღეს: მათ კოლექტიურად ნახეს ტელევიზიით სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი და დინამოელთა გამარჯვებით მიღებული სტიმული შეინარჩუნეს თავიანთი ამ საპასუხისმგებლო შეხვედრისთვის.

მიმდინარეობდა ჯერ კიდევ მე-4 წუთი, როცა მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ ბურთი მიიღო ბახტაძემ და ზუსტად დაარტყა ლიდერის კარში — 1:0.

საკმაო ხნის მანძილზე თამაში ცენტრში მიმდინარეობდა, მაგრამ ყოველ კომბინაციას, ბურთის ყოველ გათამაშებას საინტერესო, დაძაბული ბრძოლა მოსდევდა.

32-ე წუთზე ლანჩხუთელებმა შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა ტროიან — სანაიას კომბინაციის შემდეგ — 1:1.

შესვენების შემდეგ უპირატესობას დიდხანს „გურია" ფლობდა. ივი უტევდა მონდომებით, აქტიურად, მაგრამ ლოკომოტიველებმა შეძლეს საკუთარი კარის უხიფათობის დაცვა, მერე კი განახორციელეს სწრაფი კონტრშეტევა, რომელიც 78-ე წუთზე კარგად გამოიყენა ბერძენიშვილმა. ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა სამტრედიელ ფეხბურთელებს.

ა. სირაძე.

„მაღაროელი" (ჭიათურა) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:2

მატჩის პირველივე წუთებში ორივე კართან მწვავე მომენტები შეიქმნა, მაგრამ, თუ მასპინძლებმა მე-2 წუთზე ვერ გამოიყენეს გოლის გატანის შესაძლებლობა, დინამოელებმა მე-5 წუთზე მიაღწიეს წარმატებას (ჭითანავა).

მე-20 წუთზე ჭიათურელთა მეკარე ქანთარიას მეორე ბურთის გამოტანა მოუხდა კარიდან ნაჭყებიას ზუსტი თავური დარტყმის შემდეგ.

შესვენების მერე მასპინძლები ბევრს უტევდნენ, ხშირად ქმნიდნენ კრიტიკულ მომენტებს მოპირდაპირე კართან, მაგრამ მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს და ისიც მატჩის ბოლო წუთებზე.

გ. ბარჯაძე,
სპორტის ოსტატი.

სხვა ზონები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ზვეინიეკსი" (ლიეპაია) — „სპერანცა" (დროკია) 0:1, „ატლანტასი" (კლაიპედა) — „დინამო" (ბრესტი) 3:2, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ხიმიკი" (გროდნო) 3:0, „დვინა" (ვიტებსკი) — „მაშინოსტროიტელი" (გომელი) 0:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 3:0, „ავტომობილისტი" (ბაქო) — „შირაკი" (ლენინაკანი) 2:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია"	28	17	6	5	48—20	40
„დინ." ზ.	28	17	2	9	34—37	36
„ჟალგირისი"	29	16	3	10	56—25	35
„შირაკი"	29	14	7	8	46—30	35
„დინ." ბრ.	28	14	7	7	45—29	35
„დილა"	27	15	3	9	39—23	33
„დინ." ბთ.	28	14	5	9	31—23	33
„ავტომობ."	27	11	8	8	32—22	30
„ლოკომოტ."	27	13	3	11	30—36	29
„პროგრესი"	28	11	7	10	26—39	29
„ხიმიკი"	28	10	7	11	31—23	27
„ატლანტ."	29	10	5	14	26—34	25
„მაშინოსტრ."	29	9	7	13	25—34	25
„დვინა"	29	9	6	14	24—29	24
„ზვეინიეკ."	29	11	2	16	29—38	24
ფიზკ. ინსტ.	27	8	8	11	26—35	24
„სპერანცა"	28	7	8	13	25—29	22
„მაღაროელი"	27	9	4	14	22—40	22
„მეტალურგი"	29	7	6	16	19—38	20
„დნეპრი"	28	4	6	18	18—48	14

ლიდერობენ მოსკოველი მეზღვაურები

ჩელიაბინსკი, 6 სექტემბერი. უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების აქ მიმდინარე ჩემპიონატში გაიმართა მორიგი ტური. კიდევ უფრო გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის (სსფ ცსს) გუნდმა, რომელმაც გუშინ მოუგო მოსკოვის უნივერსიტეტის კოლექტივს — 6:4.

წარმატებით ისპარეზეს ბაქოს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის (წკფ) წყალბურთელებმა, რომლებმაც დაამარცხეს მოსკოვის დინამოელები — 4:3. თბილისისა და კიევის დინამოელთა მატჩი დამთავრდა ფრედ — 5:5.

დღეისათვის სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: სსფ ცსს — 27 ქულა, „დინამო" (კიევი) — 24, წკფ — 21, მოსკოვის უნივერსიტეტი — 18, „დინამო" (მოსკოვი) — 12, „დინამო" (თბილისი) — 12 ქულა.



სვეშნიკოვი დიდოსტატობისთვის იბრძვის

სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდა ოსტატთა შორის, საერთაშორისო ოსტატი ე. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი) წარმატებით თამაშობს ე. ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც სოჭში ტარდება. 7 ტურის შემდეგ ჩელიაბინსკელ მოჭადრაკეს 5 ქულა აქვს. ბოლო, VII ტურში მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრა დიდოსტატ ე. გელერთან (მოსკოვის ოლქი). ტურნირში დაწესებულია დიდოსტატისა (9 ქულა) და საერთაშორისო ოსტატის (7) ნორმატივები. სვეშნიკოვი დიდოსტატობისთვის იბრძვის. მიზნის მისაღწევად დარჩენილ რვა ტურში მან 4 ქულა უნდა მოაგროვოს.

ლიდერს კვალში მიჰყვებიან დიდოსტატები ვ. ცეშკოვსკი, ლ. პოლუგაევსკი (ორივე — სსრ კავშირი) და ა. ადორიანი (უნგრეთი) — 4,5-4,5. საბჭოთა მოჭადრაკეებმა ბოლო ჟერ შეხვედრაში თითო ქულა მოაგროვეს, ადორიანმა — ქულა-ნახევარი.

[illegible]

ტალანსი. 6 სექტემბერი. საფრანგეთის ამ ქალაქში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენმა ა. გრებენიუკმა დაამყარა კონტინენტის ახალი რეკორდი ათჭიდში — 8468. რეკორდის დამყარებისას გრებენიუკმა შემდეგი შედეგები აჩვენა: 100 მ რბენა — 10,7, სიგრძეზე ხტომა — 6,89 მ, ბირთვის კვრა — 15,82 მ, სიმაღლეზე ხტომა — 204 სმ, 400 მ რბენა — 48,7, 110 მ თარჯრბენი — 14,3, ბადროს ტყორცნა — 52,24 მ, ჭოკით ხტომა — 4,40 მ, შუბის ტყორცნა — 71,68 მ, 1500 მ რბენა — 4.34,5.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; [illegible] ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 13997